ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N 12

3.11.2022

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები სასწავლო პროგრამაში: მულტილინგვური განათლება– დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო–სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა.

სხვა

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალები წინასწარ გაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

სხდომას ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს 18 წევრი;

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს წევრები :

<u>ფსიქოლოგიის სასწავლო სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორები :

მზია წერეთელი, იამზე კუტალაძე, ვახტანგ ნადარეიშვილი

ასოცირებული პროფესორები:

ლუიზა არუთინოვა, მანანა მელიქიშვილი, მაია მესტვირიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, შორენა მამუკაძე, ნინო ლაბარტყავა, თეონა ლოდია.

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი:

ქეთევან ჭკუასელი

ასოცირებული პროფესორები:

ეთერ ღვინერია, რუსუდან სანაძე, იზაბელა პეტრიაშვილი.

კენჭისყრაში სულ მონაწილეობდა 18 წევრი

განიხილეს:

1. ცვლილებები სასწავლო პროგრამაში: მულტილინგვური განათლება– დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო–სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ქალბატონმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თსუ ასოცირებული პროფესორის კახა გაბუნიას წერილი დიპლომის დანართში ჩასაწერი საბოლოოდ შეთანხმებული ტექსტის შესაბამისად, მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობაში შესატანი ცვლილებების შესახებ, რომლებიც თანხვედრაში იქნება

მოქმედ კანონმდებლობასთან (ზოგადი განათლების კანონსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ტერმინოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით);

კერძოდ, პროგრამაში შესატანია ცვლილებები შემდეგ ტერმინებთან დაკავშირებით:

1. „ქართული, როგორც მეორე ენა“ უნდა შეიცვალოს ტერმინით - სახელმწიფო ენა (ქართული ენა);
2. ტერმინი „ბუნებისმეტყველება“ აღარ გამოიყენება და საჭიროა მისი ჩანაცვლება ტერმინით „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“.
3. პროგრამის აღწერილობაში, დასაქმების სფეროს გრაფაში, მითითებულია ტერმინი „არაქართულენოვან სკოლებში“, რაც უზღუდავს პროგრამის კურსდამთავრებულებს ქართულენოვან სკოლებში დასაქმებას - რისი უფლებაც, არსებული კანონმდებლობით, არ გვაქვს. შესაბამისად, ეს ტერმინი ამოსაღებია პროგრამიდან.

დაადგინეს:
მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდეს შემდეგი სახის ტერმინოლოგიური ცვლილებები:
1. ტერმინი - „ქართული, როგორც მეორე ენა“ შეიცვალოს ტერმინით - „სახელმწიფო ენა(ქართული ენა)“;
2. ტერმინი „ბუნებისმეტყველება“ შეიცვალოს ტერმინით „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“.
3. ამოღებული იქნას პროგრამიდან ტერმინი „არაქართულენოვანი სკოლები“.

2. ხარისხის უზრუნველყოფილის სამსახურის უფროსის არჩევა.
საბჭოს თავჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის პროცედურა.
საბჭომ ერთხმად (18 მომხრე) აირჩია ხმის დამთვლელი კომისიის 3 წევრი: ეკატერინე ფირცხალავა, ქეთევა ჭკუასელი, შორენა მამუკაძე.

აღნიშნულ თანამდებობაზე განცხადება შემოიტანა ორმა კანდიდატმა: ასოც. პროფ. რუსუდან სანაძემ და ასოც. პროფ. ლილი ხეჩუაშვილმა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო აღნიშნული კანდიდატების ბიოგრაფია და აღნიშნა, რომ ორივე კანდიდატს აქვს გამოცდილება ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში.

დარიგდა ხმის დამთვლელი კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი 18 ბიულეტენი.
საბჭოს წევრებმა ფარულად უყარეს კენჭი სასურველ კანდიდატს, რის შემდეგაც დატოვეს აუდიტორია.
კომისიამ გახსნა ყუთი და დათვალა ბიულეტენები; საბჭოს წევრები დაბრუნდნენ კენჭისყრის ოთახში.

ე. ფირცხალავამ არჩევნების შედეგები გამოაცხადა:
ლ. ხეჩუაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 14 წევრმა, რუსუდან სანაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 4 წევრმა.

დაადგინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად არჩეულ იქნა ასოც. პროფ. ლილი ხეჩუაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ასოც. პროფ. მანანა მელიქიშვილს გაწეული სამსახურისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი იზაბელა პეტრიშვილი